



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

ქართულად წერის სტრატეგიები თურქულენოვან ჯგუფებში

ქეთევან შოთაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.

+995 577456061. qetevan.shotadze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0006-0138-5469>

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის ქართული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში წამოჭრილ გამოწვევებს თურქულენოვან სტუდენტებთან მუშაობისას. კვლევის მთავარი ფოკუსია წერის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებიც გამოწვეულია ქართული და თურქული ენების ფონემატური სტრუქტურების მნიშვნელოვანი განსხვავებებით. კვლევა ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მოიცავდა A1- A2 დონის მსმენელებს. თურქულენოვან ჯგუფებთან დაკვირვების, წერიითი დავალებების ანალიზის, ინტერვიუებისა და ექსპერიმენტის მეთოდებით მუშაობისას დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შევიმუშავეთ ეფექტური სტრატეგიები: ბგერების განცალკევებით გამეორება, ვოკალიზაციაზე ვარჯიში, მინიმალური წყვილების გამოყენება, აუდიოჩანაწერი და თვითშეფასება. აღნიშნული ინტერირებული სტრატეგიების, კვლევის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვის ეფექტიანობა მათ თანმიმდევრულობასა და სისტემურობაზე დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: სწავლება; წერა; სტრატეგია; ქართული; თურქულენოვანი; ფონეტიკური.

შესავალი

ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლება, აქტუალური საკითხია, მაგრამ მას ბევრი გამოწვევა უკავშირდება, რადგან ახლავს ძალიან ბევრი, ხშირად დაუძლეველი სირთულეც. მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა - ენის შესწავლის გზით ამ ოთხი უნარის განვითარება ურთულესი პროცესია, განსაკუთრებით ძნელია წერა. თურქულენოვან ჯგუფებში წერის სწავლების სიძნელე ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ქართულს და თურქულ ენებს შორის არსებობს ტიპოლოგიური, სტრუქტურული, ფონეტიკური და გრამატიკული განსხვავებები. ამას უკავშირდება ქართული ენის სწავლებისას გამოწვევათა ფართო სპექტრი, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე (A1 დონე), მაშინ, როდესაც სტუდენტები ქართული ენის წერის სწავლას ახალად იწყებენ.

თურქულენოვან სტუდენტებში ქართულ ენაზე წერის უნარების განვითარება რთულია იმდენად, რამდენადაც მსმენელები, როგორც წესი, ეყრდნობიან თავიანთი მშობლიური ენის ფონეტიკურ ჩვევებსა და ნორმებს, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქართულ ენაზე წერითი უნარების ფორმირებაზე.

ნაშრომის მიზანია იმ არსებული გამოწვევების აღწერა, რომლებსაც ვაწყდებით და თურქულენოვან ჯგუფებში ქართული ენის სწავლების საწყის ეტაპზე და იმ სტრატეგიათა გაცნობა, რომლებსაც ვიყენებთ ფონემატური სტრუქტურის დაუფლებისა და გრაფიკულ გამოწვევათა დაძლევის მიზნით.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს: რით განსხვავდება ფონემატური სტრუქტურა? რა არის ქართველი და თურქი ხალხების საწარმოთქმო ჩვევების მთავარი განმასხვავებელი? პირველად რა სირთულეებს აწყდებიან მსმენელები ქართულის, როგორც უცხოური ენის, სწავლებისას? როგორ ეუფ-

ლებიან თურქულენოვანი სტუდენტები ქართულის ფონემატურ სტრუქტურას? რა ტიპობრივი შეცდომები მოსდით მათ ცალკეული ბგერის, მეტწილად კავკასიური მკვეთრების დაწერილობისას? რა სტრატეგიებს მივმართავთ სირთულეების დასაძლევად და რომელია მათ შორის ყველაზე ეფექტიანი?

ნაშრომში განხილულია ფონეტიკის სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და ქართულ ენაზე წერის სტრატეგიები თურქულენოვან ჯგუფებში ქართულის, როგორც უცხოური ენის სწავლებიასას.

კვლევის შედეგები ეფუძნება თურქულენოვანი სტუდენტების მიერ გამოყენებული წერის ტექნიკის, მათ მიერ დამკვეთი ტიპობრივი შეცდომების ანალიზს შობლიური და შესასწავლი ენების ფონემატური თავისებურებების გათვალისწინებით.

მეთოდები

დაკვირვება, წერთი დავალებების ანალიზი, ინტერვიუები მსმენელებთან, ექსპერიმენტი, ინდუქცია, დედუქცია, ექსპერიმენტი.

კვლევის შედეგები

ქართულის, როგორც უცხოური ენის, სწავლებისას თავს იჩენს არაერთი პრობლემა, რომელთაც საფუძვლად ედება ქართული და თურქული ენების ფონემატური სტრუქტურების არსებითი განსხვავებები. თურქულენოვანი სტუდენტებისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ქართული დამწერლობის სპეციფიკური ფონეტიკური მახასიათებლები. მათი უმეტესობა შეჩვეულია ლათინურ ანბანს, ამიტომ ქართული ანბანის შესწავლა და, განსაკუთრებით, მკვეთრი თანხმობების სწორი დამწერლობა პრობლემურია.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც წერის სწავლებისას ახდენს გავლენას და საჭიროა ეფექტური სტრატეგიების შემუშავება მათ დასაძლევად.

შედეგი

კვლევა ჩატარდა 23 თურქულენოვანი მსმენელის მონაწილეობით, რომლებიც ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტ-

ეტში ქართულ ენას სწავლობენ. ისინი შეირჩა ქართული ენის სწავლების დონის მიხედვით (A1- A2), რათა გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც დამწყები, ახალბედა, ასევე საშუალო დონის მსმენელთა წერის სტრატეგიები.

მსმენელებს მიეცათ თემები, რომლებიც მოითხოვდა საინტერესო თემაზე მოკლე ნარატივის დაწერას, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას. შესრულებული წერითი დავალებების ანალიზმა დაგვანახა ინტერვიუების საჭიროებაც. დაკვირვებისა და წერითი დავალებების ანალიზის შემდეგ შევიმუშავეთ კითხვარი. ჩაწერილ ინტერვიუებში მათ აღწერეს თავიანთი სწავლების პროცესი, რა დრო სჭირდებოდათ სწავლისთვის და სირთულეებს აწყდებოდნენ ისინი.

სწავლებისას დაგროვილი გამოცდილებით და მსმენელთა ანალიზის შედეგად შევიმუშავეთ რამდენიმე სტრატეგია: **ბგერების ცალ-ცალკე გამეორება, ბგერების ვოკალიზაციაზე ვარჯიში (ბგერის სიგნალის გაცნობა, ვიზუალურად და სმენით აღიქმა); ბგერების სიტყვებში ჩასმა, მინიმალური წყვილები; სიტყვების ჩანაწერების გაკეთება და თვითშეფასება.**

რეკომენდებულია აღნიშნული სტრატეგიების ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, და რაც ყველაზე მთავარია, მასწავლებლის ნიმუშების, მოდელის დახმარებით შესრულება.

ამ მეთოდებით მოსწავლეები უკეთ შეძლებენ გაარჩიონ და ზუსტად აღიქვან ბგერები, რაც მათ დაეხმარება მკვეთრი თანხმობების სწორად წარმოთქმასა და წერაში, ქართული საწარმოთქმო და გრაფიკული ჩვენების დაუფლება - დახვეწაში.

დისკუსია

ქართულად წერის სწავლებისას საწარმოთქმო სპეციფიკასა და გრაფიკულ მახასიათებლებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო ადგილი ეთმობა ქართულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების სირთულეებს. კვლევები ადასტურებს, რომ თურქულენოვან სტუდენტთათვის

ქართული ენის სწავლა დაკავშირებულია სპეციფიკურ გამოწვევებთან (Alptekin & Evirgen, 2020:).

„თურქული ენის აგლუტინაციური ბუნება ქართულ ენასთან კონტრასტულია, რის გამოც თურქულენოვან სტუდენტებს ქართულ ენაში რთული გრამატიკული სტრუქტურები უძნელდებათ“ (Gökdemir, 2018:).

აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ თურქულენოვან სტუდენტებს წერიტი უნარების დასაუფლებლად სჭირდებათ განსხვავებული სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია საკუთარი საჭიროებების დადგენისა და ლოგიკური აზროვნების განვითარებისკენაც.

თურქულენოვან მსმენელებთან ყველაზე მეტად გამოხატულია გრაფიკული გამოწვევები. ეს პრობლემები თავს იჩენს საწყის ეტაპზე, ამიტომ უწინარესად დასამუშავებელი დარჩა გრაფიკული ადაპტაციის სტრატეგია.

ეს სტრატეგია მოიცავს სტუდენტების წახალისებას, გაეცნონ ქართულ ფონეტიკასა და გრაფიკულ სტრუქტურას აქტიური წერის პროცესში, რითაც ისინი თავიდან აიცილებენ ლათინური ანბანის გავლენას. მაგალითად, Gökdemir-ის (2018) კვლევა აჩვენებს, რომ აგლუტინაციური ენის მქონე მოსწავლეები ხშირად მიდრეკილნი არიან საკუთარი ანბანის გამოყენებისკენ. კონკრეტული დავალებები, როგორებიცაა „განასხვავე ქართული ორმაგი თანხმოვნები“ ან „დაწერე ტექსტი მარტო ქართული ანბანის გამოყენებით“, ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ქართული ფონეტიკის უკეთ აღქმაში.

მსმენელებთან სისტემატიურად ვმუშაობთ პრაქტიკულ მაგალითებზე. მათ ყოველდღიურად მიეწოდებათ დავალება, რომ კარნახით დაწერონ მარტივი ფრაზები და ტექსტები, სადაც გამოიყენება ქართული სპეციფიკური თანხმოვნები: ძ, ხ, შ, წ, ჰ, ტ, კ, ჭ, ყ გამოიყენება.

მსმენელების ნაწილი სირთულეებს აწყდება ძ და ხ, წ და შ ბგერების გარჩევისას. მათ ვაძლევთ რეკომენდაცია, პირველ რი-

გში დააკვირდნენ წერის მიმართულებას. ასე გაუადვილდებათ გრაფიკული სტრუქტურის ადაპტაცია.

ასევე აპრობირებული ხერხია ისეთი სიტყვების სწავლება, სადაც ეს ბგერები მნიშვნელობებს განასხვავებენ: **შინ / წინ, ძე / ხე; ძაძა/ ხახა**

შინ - evde (სახლში) წინ - önde (წინა მხარეს)

ძე - oğul (ვაჟი, შვილი) ხე - ağaç (ხე)

ძაძა - matem elbisesi (სამგლოვიარო სამოსი) ხახა - boğaz (ყელი) / gırtlak (ხახა)

კავკასიური მკვეთრი თანხმოვნების შესასწავლად მსმენელებს სხვადასხვა პრაქტიკულ სავარჯიშოს ვთავაზობთ, რომლებიც დაეხმარება მათ ამ რთული ბგერების სწორად აღქმასა და წარმოთქმაში.

პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ ბგერების გამოსათქმელად საკმარისია ჰაერის ის ნაკადი, რომელიც პირის ღრუშია. ექვსივე ბგერა წარმოითქმება ისე, რომ ფილტვებიდან ჰაერის მიწოდება არ არის საჭირო, ყელი დახურულია, სახმო სიმები დაკეტილია, ენა არ არის ჩართული. გამოთქმის თავისებურებების გამო, კავკასიურ მკვეთრ თანხმოვნებს ხშულებს, ანუ აბრუპტივებს უწოდებენ. ეს ბგერები დიდი დამაბულობით და ჰაერის უფრო ძლიერი ნაკადის გამოთავისუფლებით წარმოითქმება.

თურქულში წარმოების ადგილის მიხედვით გვაქვს ხშული თანხმოვნები, (კვანტალიანი, ჯანაშია, 1999:7), მაგრამ არ გვაქვს ხშულის ერთ-ერთი სახეობა, აბრუპტივი, მკვეთრი თანხმოვნები (პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ), ე.წ. კავკასიური მკვეთრები, რომლებიც წარმოითქმება გლოტალიზაციით (ხორხში ჰაერის შეკვრით).

მოკლედ, ქართული კ-ტ-პ განსხვავდება მრავალ ენათა K-T-P- სგან სიმკვეთრით (ახვლედიანი, 371). აბრუპტივთა ფიზიოლოგიური ბუნება განაპირობებს მისი წარმოთქმის სირთულეებს. არასწორი წარმოთქმა საფუძვლად ედება არასწორ წერას.

მ. კიკვაძე აღნიშნული სირთულეების შესახებ წერს: „უცხოელისთვის სირთულეს წარმოადგენს ქართული მეკვეთრი და

ფშვინეიერი თანხმოვნების წარმოთქმა, როგორებიცაა: პ, ფ=P ; კ, ქ=k ; ტ, თ=T

სირთულის დასაძლევად შემოთავაზებულია სიტყვებზე ვარჯიში და დამარცელით კითხვა: პური – ჰაჰა – პეპელა, კატა – კაცი – კიბე, ფული- ფაფა –ფეხი ქარი – ქუდი – ქალი, ტაფა – ტიტა – ტომატი, თითი – თავი – თამაში.

კიდევ უფრო სირთულეს ქმნის ის ქართული თანხმოვნები, რომელთა შესატყვისი თურქულში არაა: ყ, წ, ჭ, ღ (კიკვაძე, 2009: 19).

ნაბიჯი I. „მგავსი“ ბგერების შედარება და გამეორება

თითოეული ბგერის ცალკე, განცალკევებით წარმოთქმა. სტუდენტებმა უნდა გაიმეორონ ბგერები, რომლებიც მათთვის მგავსად ჟღერადია, მაგრამ ქართულში განსხვავებული ფონემებია (მაგალითად, „ქ“, და „კ“). ამ სავარჯიშოთი შესაძლებელი იქნება მკვეთრი და არამკვეთრი ბგერების განსხვავების აღქმა.

საამისოდ მათ ვთავაზობთ **პრაქტიკულ მაგალითებს**: ჩაწერონ თითოეული ბგერა ცალ-ცალკე და მთელ სიტყვაში (მაგ., „კარი“; „ქარი“). ამის შემდეგ მსმენელებს ევალუბათ, ჯერ მოისმინონ ბგერა და შემდეგ გაიმეორონ.

თანხმოვნების პოზიციაზე დაკვირვება. არსებობს ასეთი სტრატეგიაც: ბგერის წარმოთქმისას ყელის არეში ხელისგულის დადებით აღიქმება განსხვავებული სიტბო და დამაბულობა, ვიბრაცია. მკვეთრი ბგერის შემთხვევაში ნაკლები ვიბრაცია შეიგრძნობა.

ნაბიჯი II. ბგერების ვოკალიზაციაზე ვარჯიში

ბგერის სიგნალის გაცნობა – ჯერ დამოუკიდებლად წარმოთქვამთ ბგერებს და დროს ვაძლევთ მსმენელებს, რომ მათ ვიზუალურად და სმენით აღიქვან სხვადასხვა ბგერა. ამის შემდეგ მსმენელებს ვამეორებინებთ ბგერებს და განსხვავებას ვაფიქსირებინებთ. მასწავლებლის შემდეგ მსმენელები თითოეულ ბგერას იმეორებენ და ყურადღებას ამახვილებენ სხვაობაზე.

ნაბიჯი III. ბგერების სიტყვებში ჩასმა- მინიმალური წყვილები (Minimal Pairs)

მოგებებით სიტყვებს, სადაც ეს ბგერები განსხვავებულ კონტექსტში ჩნდებიან და სემანტიკაც განსხვავდება.

მსმენელებს ვუხსნით, რომ ბგერებს გარდა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური თვისებებისა, აქვთ სოციალური დანიშნულებაც. სამეტყველო ბგერის სოციალური მხარე აღინიშნება ტერმინით **ფონემა** (ახვლედიანი, 1999: 17).

თურქულენოვანი მსმენელებს უჭირთ ქართულის სპეციფიკური თანხმოვნების წარმოთქმა და წერა.

მაგ. წიწილას არ წარმოქვამენ tsitsila"-ს მსგავსად, რადგან თურქულში: „წ“ ბგერის ზუსტი შესატყვისი არ არსებობს. მასთან ახლოს არის "c" (ჯ-სა და ც-ს შორის ბგერა თურქულში), "s" (ზოგ შემთხვევაში), "ç" (ჩ-სთან ახლოს მდგომი ბგერა).

სიტყვა **წყალი** თურქულენოვან მსმენელთა ნაწერებში გვხვდება შემდეგი დაწერილობებით: წკალი" - რადგან "წყ" კომპლექსი უცხოა, "ცკალი" - წ"-ს და ყ"-ს ვერ გამოთქვამს ზუსტად; "ცხალი" - აერევა მსგავსი ჟღერადობის გამო.

სიტყვა **ყვავილი** შემდეგნაირი ფონემატური სახესხვაობებით გვხვდება: ყვავილი: „კვავილი“ - "ყ"-ს მაგივრად "კ"-ს წერს, „ქვავილი“ - "ყ"-ს მაგივრად "ქ"-ს წერს, „კავავილი“ --ჩამატებულია ხმოვანი, „კავილი“--გამარტივებულია თანხმოვან-თკომპლექსი.

მსმენელები შეადარებენ ერთმანეთს სიტყვებს, რომელთა ბგერები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მნიშვნელობა მკვეთრად განსხვავებულია. ჯერ თავად წარმოვთქვამთ თითოეულ სიტყვას, შემდეგ მსმენელებმა უნდა გაიმეორონ, რათა სმენითა და წარმოთქმით შეიგრძნონ განსხვავება.

პრაქტიკული მაგალითი:

• მსმენელებისთვის ეფექტიანია ისეთი წყვილების შერჩევა, როგორებიცაა: **ქარი/ კარი; ფური/ პური, ჭირი/ ჩირი, ღერი/ გერი; ყელი/ ხელი, ბალი/ ქალი**

- ქარი - rüzgar კარი - kapı
- ფური - inek (ძროხა) პური - ekmek

- ჭირი - dert / bela (უბედურება) ჩირი - kurutulmuş meyve (ჩირი, გამხმარი ხილი)

- ღერი - sap (ტარი, ღერო) გერი - თურქულში პირდაპირი შესატყვისი არ აქვს

- ყელი - boğaz ხელი - el

- ბალი - kiraz (ბალი, ალუბალი) ქალი - kadın

თუ საანალიზო ფორმები აბსტრაქტული სახელები არაა, კარგი იქნება სურათების ჩვენებაც.

თურქულენოვანი მსმენელებისთვის ჯერ ამ სიტყვების მნიშვნელობა უცნობი იქნება, ამიტომ მიზანშეწონილია ისეთი მაგალითების შედგენა, სადაც განმარტე-ბული იქნება მათი მნიშვნელობები

მაგალითად,

- ფური არის ზრდასრული ძროხა, რომელიც ხბოს შობს და იწველება.

- პური საკვები პროდუქტია.

- ჭირი არის გასაჭირიც და ინფექციური დაავადებაც.

ჩირი გამხმარი ხილის სახელია.

- ღერი - ცალს ნიშნავს: თმის ღერი, ასანთის ღერი;

- გერი არის ცოლის ან ქმრის შვილი, რომელიც მას სხვა მეუღლისგან ჰყავს.

ყელი ქართულად კისრის წინა ნაწილს ჰქვია, ხელი კი -- კიდურს.

თანდართული სურათები და გამოსახულებები (მაგ. ფური პურს ჰამს, ქარმა კარი გააღო, ბავშვმა ყელზე ხელი მიიღო) მსმენელებს დაარწმუნებს ამ ბგერათა გამიჯვნის აუცილებლობაში, რომ მათ ეკისრებათ დისტინქტური (მნიშვნელობათა განმასხვავებელი) ფუნქცია.

ამის შემდეგ ეფექტურია ისეთი დავალების მიცემა, სადაც მსმენელები შეარჩევენ კონტექსტისთვის საჭირო სიტყვას წარმოთქვამენ მათ.

დედამ (ჩირი/ ჭირი) გაახმო;

კაცმა (ჭირი/ ჩირი) მალა, მალა (ჭირმა/ ჩირმა) თავი არ დამალა;

ნიას ნაყინის ჰამის შემდეგ (ყელი/ ხელი) ასტკივდა.

& სპეციფიკური ქესტებისა და სუნთქვის კონტროლის მეთოდი

მკვეთრი ბგერების წარმოთქმისას სუნთქვის რეგულაცია და პირის დანაწევრება (ე.ი. კბილების და ტუჩების პოზიცია) მნიშვნელოვანია.

მოცემული სტრატეგიის შესაბამისი **პრაქტიკული მაგალითებია:**

- მსმენელებმა ბგერის წარმოთქმისას ჰაერი შეაჩერონ პირის ღრუში, შემდეგ კი მკვეთრად გაათავისუფლონ იგი, რათა ბგერა მკვეთრად და ნათლად წარმოითქვას.
- მსმენელები სარკეში უყურებენ საკუთარ ბაგეებს და ატარებენ მოძრაობას, რათა შეამოწმონ, რომ ბაგეები და ენა სწორ პოზიციაშია.

ნაბიჯი IV. აუდიოჩანაწერი და თვითშეფასება

მსმენელებს ვაძლევთ დავალებას, წარმოვთქვათ ის სიტყვები, რომლებიც მკვეთრ და არამკვეთრ თანხმოვნებს შეიცავენ და ხმა ჩაიწერონ. ამის შემდეგ ისინი მას მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უდარებენ. სწავლის პროცესში თვითშეფასება აუცილებელია. აღნიშნული პრაქტიკული დავალებით, საკუთარი ხმის ჩაწერითა და შემდეგ მასწავლებლის ნიმუშთან შედარებით მსმენელი შეძლებს იმის გარკვევას, სად უშვებს შეცდომებს და რომელ ბგერებშია საჭირო მეტი ვარჯიში.

ამგვარი სავარჯიშოები ხელს შეუწყობს სტუდენტებს კავკასიური მკვეთრი ბგერების განსხვავებაში, რითაც გააუმჯობესებენ ბგერების სწორად აღქმასა და წარმოთქმას.

მოკლედ, **ხმოვანი ჩანაწერი და მისი ანალიზი** თვითშეფასების და ბგერების წარმოთქმის გაძლიერების გარანტიაა.

თურქულენოვან მსმენელთა ნაწერებში შეინიშნება შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია თურქული და ქართული ენების მარცვლის სტრუქტურის განსხვავებულობით. მაგ. ქართულისთვის დასაშვებია რთული თანხმოვან-თკომპლექსები (CCCV) „წვრთნის“, „ბრწყინავს, მაშინ, როცა თურქულში მარცვლის სტრუქტურა უფრო მარტივია (CV, CVC), იქ არაა დასაშვები რთული თანხმოვანთკომპლექსები და ამ სირთულის დასაძლევად მიმა-

რთავს ეკონომიკის: წვრთნის- წივირითნის, ბრწყინავს- ბირიწიყინავს. მოცემულ შემთხვევაში მივმართავთ დამარცვლის და მარცვლების დათვლის მეთოდებს, რითაც მსმენელები რწმუნდებიან ამგვარი ფორმების უმართებულობაში.

დასკვნა

ქართულ ენაზე წერის უნარის დაუფლება, დახვეწა - განვითარება, გრაფიკული სიძნელების დამღევა თურქულენოვან სტუდენტებში, რომლებიც ითვალისწინებენ დედაენის ფონეტიკურ თავისებურებებს, მოითხოვს მორგებულ სტრატეგიებს. მათი ეფექტიანობა მხოლოდ მაშინაა ხელშესახები, თუ ისინი ეტაპობრივად შესრულდება.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ფოკუსირება მშობლიური და შესასწავლი ენების მთავარ ფონეტიკურ განსხვავებებზე.

ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებებზე, ასევე იმ კულტურულ განსხვავებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლების პროცესზე. ამ კვლევამ წარმოაჩინა, რომ სწორი მიდგომის შემთხვევაში შესაძლებელია წერის უნარების წარმატებული განვითარება, რაც დაეხმარება თურქულენოვან სტუდენტებს ქართული ენის უკეთ დაუფლებაში.

კვლევამ ცხადყო, რომ თურქულენოვანი სტუდენტებისთვის ქართულ ენაზე წერის უნარების განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც საჭიროებს მიზანმიმართულ და სისტემურ მიდგომას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ წარმატებული სწავლება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1. მშობლიური და სამიზნე ენების ფონემატური სტრუქტურების განსხვავებების სიღრმისეულ გააზრებას;
2. სწავლების პროცესში თანმიმდევრული და ეტაპობრივი სტრატეგიების გამოყენებას;
3. პრაქტიკული სავარჯიშოების მრავალფეროვნებას, რომელიც მოიცავს როგორც ბგერათა იზოლირებულ სწავლებას, ისე მათ კონტექსტურ გამოყენებას;

4. თვითშეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმების აქტიურ გამოყენებას.

შემუშავებული სტრატეგიების ეფექტურობა დასტურდება სტუდენტების წერითი უნარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრესი კავკასიური მკვეთრი თანხმობების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საფუძველი ქართული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარებისთვის, განსაკუთრებით თურქულენოვან და აზერბაიჯანულენოვან აუდიტორიასთან მუშაობის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახვლედიანი, გ. (1999). ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი: თსუს გამომცემლობა.
- ახვლედიანი, ზ. (2023). თურქულის, როგორც მეორე უცხო ენის შესწავლისას, ქართველთა მიერ დაშვებული საერთო შეცდომები და აღმოფხვრის გზები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი 6, N.2. გვ. 300-338. DOI: <https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7363>. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/7363>.
- კვანტალიანი, ე., ჯანაშია, ნ. (1999). თურქული ენის სახელმძღვანელო; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: გამომცემლობა „ვერსისი“.
- კიკვაძე, მ. (2009). ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ზოგიერთი ასპექტი, საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ I (კრებული), ბათუმი: გამომცემლობა „შოთა რუსთაეელის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/486713> (მოძიებულია 10.10.2024).

- კიკვაძე, მ., ჩოხარაძე, მ., თანდილავა, ლ., ჩოხარაძე, ვ., ჩოხარაძე, მ., თავდგირიძე, მ., დუმბაძე, გ., ნაკაშიძე, ო. (2015). ქართული ენა უცხოელთათვის პრაქტიკული სავარჯიშოების რვეული (1). ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- Alptekin, C., & Evirgen, H. (2020). "Cross-linguistic Influence in Language Acquisition." *Language and Culture Studies Journal*, 25(3), 134-148.
- Gökdemir, Y. (2018). "Grammatical Structures in Turkish Language Learners." *Journal of Language Research*, 12(1), 59-75.

REFERENCES

- akhvlediani, g. (1999). zogadi ponet'ik'is sapudzvlebi (Fundamentals of General Phonetics). tbilisi: TSU Publishing House.
- Akhvlediani, z. (2023). Turqulis, rogorts meore utskho enis sheswavlisas, qarTvelta mier dashvebuli saerto shetsdomebi da aghmofkhvris gzebi (Common mistakes made by Georgians when learning Turkish as a second foreign language, and ways to eliminate them). Saertashoriso sametsniero zhurnali adhmosavletmtsodneobis matsne. tomi 6, N.2. gv. 300-338. DOI: <https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7363>.<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/7363>.
- k'vant'aliani, e., janashia, n. (1999). turkuli enis sakhelmdzghvanelo (Turkish Language Manual). tbilisi: Publishing House "Egrisi".
- k'ik'vadze, m. (2009). kartulis, rogorc uckho enis, ts'avlebis zogierti asp'ekt'i (Some Aspects of Teaching Georgian as a Foreign Language). batumi: Shota Rustaveli State University Publishing House.
- k'ik'vadze, m., chokharadze, m., tandilava, l., chokharadze, v., chokharadze, m., tavgiridze, m., dumbadze, g., nak'ashidze, o. (2015). kartuli ena uckhoel'tatvis p'rakt'ik'uli savarjishoebis rveuli (1)

- (Georgian Language for Foreigners: Practical Exercise Workbook (1)). batumi: Batumi Shota Rustaveli State University Publishing House. (Retrieved 10.10.2024 <https://iverieli.Nplg.gov.ge/handle/1234/486713>).
- Alptekin, C., & Evirgen, H. (2020). "Cross-linguistic Influence in Language Acquisition." *Language and Culture Studies Journal*, 25(3), 134-148.
- Gökdemir, Y. (2018). "Grammatical Structures in Turkish Language Learners." *Journal of Language Research*, 12(1), 59-75.